ROMULUS AND NUMA DIPLOMACY

რომულუსისა და ნუმას დიპლომატია

JAMBUL ABUSELIDZE
PhD student
Department of History, Archaeology and Ethnology
Batumi Shota Rustaveli StateUniversity
Georgia, Batumi, Ninoshvilist. 32/35
ORCID : 0000-0003-2544-9659
jabuselidze@gmail.com
557607499

Abstract

In the diplomacy of the period of the kings of ancient Rome, the main place was occupied by negotiations which the kings conducted separately and independently. In addition to the fact that the diplomacy of Romulus and Numa included not only the exchange of ambassadors, but also the fact that the chiefs of the foreign tribes were informed of the word of the king.

The diplomatic forms established by Romulus as a form of equality of arms were a special event. His diplomacy manifested itself in the conduct of negotiations with ambassadors of foreign tribes, which forced the other side to negotiate on the principle of equality. For him, diplomacy was a crucial factor, as it depended on how successful he would be in relations with foreign or neighboring tribes.

Numa paid special attention to practical diplomacy. He introduced and instituted an oath, the breaking or non-fulfillment of which was considered divine wrath and supreme punishment. He always expected favorable positions for the realization and success of diplomatic interests, including reasoning, mutual concessions and, most importantly, the fulfillment of the obligations under the agreement.

The main diplomatic methods pursued during the period of Romulus and Numa promoted peaceful relations which in turn established the practice of a combination of diplomatic institutions and discourses which played a crucial role in the understanding of diplomacy and its functional development.

Keywords: Romulus diplomacy; Numa's religious diplomacy; Negotiations; Ambassadors; Oath;

ჯამბულ აბუსელიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის
დეპარტამენტის დოქტორანტი
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილისქ.32/35
ORCID: 0000-0003-2544-9659
jabuselidze@gmail.com
557607499

აბსტრაქტი

ანტიკური რომის მეფეთა ხანის პერიოდის დიპლომატიაში მთავარი ადგილი ეკავა მოლაპარაკებებს, რომელსაც მეფეები ურთიერთგანსხვავებულად და დამოუკიდებლად აწარმოებდნენ. გარდა იმისა, რომ რომულუსის და ნუმას დიპლომატია მოიცავდა ელჩების არა მხოლოდ გაცვლას, არამედ ისიც აღსანიშნავია, რომ უცხო ტომის მეთაურებს მეფის სიტყვას აცნობდნენ.

რომულუსის ქმედებებმა, რომელიც გამოხატული იყო ფორმალური გზით განსაზღვრა დიპლომატიის ძირითადი მიდგომები და თავიდან აიცილა მეზობელ ხალხთან კონფლიქტი. ხოლო ნუმას რელიგიურმა დიპლომატიამ უარი თქვა ძალის გამოყენებაზე და ცდილობდა ლათინიუმის ხალხთან შეენარჩუნებინა მშვიდობიანი ურთიერთობები.

რომულუსის მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ფორმები როგორც მხარეთა თანასწორობის ფორმა განსაკუთრებული მოვლენა იყო. მისი დიპლომატია, უცხო ტომების ელჩებთან მოლაპარაკებების წარმოებაში გამოიხატა, რომელიც მეორე მხარეს იძულებულს ხდიდა თანაბარუფლებიანობის პრინციპით ეწარმოებინა მოლაპარაკებები. მისთვის, დიპლომატია იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან მასზე დამოკიდებული იყო თუ რამდენად წარმატებული იქნებოდა უცხო ან მეზობელ ტომებთან ურთიერთობები.

ნუმა განსაკუთრებულ ყურადღებას პრაქტიკულ დიპლომატიას ანიჭებდა. მან შემოიღო და დააფუძნა ფიცი, რომლის გატეხვა ან შეუსრულებლობა ღვთიურ რისხვად და უზენაეს სასჯელად მიიჩნეოდა. დიპლომატიური ინტერესების რეალიზაციისა და წარმატებისთვის ყოველთვის ხელსაყრელ პოზიციებს ელოდებოდა, მათ შორის მსჯელობას, ურთიერთდათმობებსა და რაც მთავარია შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესრულებას.

დიპლომატიური უპირატესობის შემთხვევაში რომულუსი და ნუმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სად იწარმოებოდა და წარიმართებოდა დიპლომატიური პროცესი.

რომულუსის და ნუმას პერიოდში გატარებულმა მთავარმა დიპლომატიურმა მეთოდებმა ხელი შეუწყო მშვიდობიან ურთიერთობებს რომელმაც თავის მხრივ, დიპლომატიური ინსტიტუტებისა და დისკურსების ერთობლიობის პრაქტიკა დააფუძნა რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა დიპლომატიის გაგებასა და მის ფუნქციონალურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: რომულუსის დიპლომატია; ნუმას რელიგიური დიპლომატია; მოლაპარაკებები; ელჩები; ფიცი;

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ასახავს რომულუსისა და ნუმას დიპლომატიის მნიშვნელობას რომელმაც განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ თანამედროვე დიპლომატია ანტიკური რომის მეფეების მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ფორმებით საზრდოობს.

ჩვენი კვლევა მიმართულია განიხილოს რომულუსის და ნუმას დიპლომატიური მეთოდები რომლებიც ანტიკური ეპოქიდან დღემდე აქტიურად გამოიყენება. მხედველობაში გვაქვს ის დიპლომატიური ნორმები რომლებიც ყველასთვის მშვიდობიან სივრცეს ქმნის. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რომულუსის საომარ და ნუმას რელიგიური დიპლომატიის ფორმებს თანამედროვეობაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია.

აღსანიშნავია, რომ არსებული ინტერესის ფონზე რომულუსისა და ნუმას დიპლომატიის საკითხები გარკვეულწილად შესწავლილია. მიუხედავად ამისა, იგი სრულყოფილ ცოდნას არ გვაძლევს.

კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ქართული, ასევე უცხოური სამეცნიერო შრომები, რომელთაგან გამოირჩევა კ. ოლიარდის, მ. ჰუმბერტის, ა. ალფოლდის, ე. გაბბას და ფ. ჰინარდის შრომები.

რომულუსისა და ნუმას დიპლომატია, რომელიც ტრადიციას და ლეგენდას ეფუძნება უძველესი დროიდან რომის საგარეო პოლიტიკის შემქმნელებმა სავალდებულო ორატორული აუცილებლობით შექმნეს, რადგან ისინი არსებითად პასუხისმგებლები იყვნენ ზეპირი შეტყობინებებით ეწარმოებინათ და გაეფართოვებინათ დიპლომატია, რომელსაც პროგრესულად იყენებდნენ მმართველობაში. რომის ისტორიის ამ პერიოდში, წერილობითი ფორმა რელიგიური მიზნით ტექსტების დასაწერად გამოიყენებოდა, რომლებიც ადგენდა ხელშეკრულებების (foedus) პირობებს. ამ წერილობითი ხელშეკრულებების პირობებში ჩვენ ვრწმუნდებით იმ დროინდელი დიპლომატიის ფორმალობაში.

ამ სტატიაში წარმოჩენილ პრობლემას განვიხილავთ მეფეთა ხანის პერიოდში ორი მეფის რომულუსის და ნუმას დიპლომატიური ურთიერთობების სპეციფიკურობით. ასევე გამოვავლენთ მათ დიპლომატიას, რომელიც დღევანდელი სინამდვილიდან გამომდინარე სირთულის საგანია. ჩვენ გამოვყავით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ფორმალურად გამოვლინდა დიპლომატიურ ურთიერთობებში პოლიტიკურად დამოუკიდებელ ორ ერთეულს შორის და რომლებიც ცდილობდნენ დიპლომატიური ჰეგემონობა განევრცოთ დაპყრობილ ტერიტორიებზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლათინური სოფლები და მცირე თემები თითქმის არ არიან ძლიერი საგარეო პოლიტიკის გამტარებლები, მაგრამ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სახის ურთიერთობები მაინც არსებობდა.

მეთოდი

წარმოდგენილ საკითხზე მუშაობისას გამოვიყენე და სტატიაში წარმოვაჩინე შედარებით-ისტორიული, ინვენტ-ანალიზის, სისტემური, ზოგად ლოგიკური და ქცევითი მეთოდი, რომლებმაც საშუალება მომცა შემესწავლა რომულუსისა და ნუმას დიპლომატიური მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ნაშრომში არსებობს სხვადასხვა მეცნიერების მიერ გამოთქმული, განსხვავებული მოსაზრებები და ასევე შემოთავაზებულია თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

შედეგები

უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულწილად საინტერესოდაა შესწავლილი რომულუსის და ნუმას დიპლომატიური არსი, აღნიშნულია ის უმთავრესი მიმართულებები, რომლითაც ანტიკური რომის მეფეთა ხანაში ხასიათდებოდა დიპლომატიური მოქმედებებით. საყურადღებოდაა წარმოჩენილი წმინდა ფეციალის კოლეგიის წევრის ფიცი და შემოთავზებულია შემდეგი სინამდვილე:

1. ჩვენ გამოვავლინეთ რომულუსისა და ნუმას დიპლომატიის საერთო და განსხვავებული მახასიათებლები.
2. წარმოვაჩინეთ ანტიკური რომის მეფეთა ხანის პერიოდის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ჩართული მხარეები: თუ ვინ-ვის როდისა და რას ელაპარაკებოდა.
3. საშუალება მოგვეცა გაგვეკეთებინა რომულუსისა და ნუმას დიპლომატიური სფერო, როგორც ჰოლისტიკურად, უაღრესად ორგანიზაციულ მექანიზმად, რომელიც მუდმივი ურთიერთქმედების მდგომარეობაშია მეზობელ ხალხთან.

დისკუსია

თანამედროვე ეპოქაში დიპლომატია, დიპლომატების, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიკოსთა, იურისტთა, პოლიტოლოგთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ფილოსოფოსთა და გეოგრაფთა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აქტუალური კვლევითი საკითხია. ისტორიკოსები საუბრობენ და იკვლევენ დიპლომატიის წარმომავლობის რელიგიურ და ადამიანურ ფაქტორებზე. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები აანალიზებენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და პრაქტიკას, მათგან გამოჰყოფენ, პირველად და მეორე ხარისხოვან ფაქტებს. ეკონომისტები საუბრობენ ეკონომიკური დიპლომატიის გლობალიზაციაზე. გეოგრაფები კი დიპლომატიური არქიპელაგების“, დიპლომატიური ქალაქების, “მეგაპოლისების“ შექმნაზე. სოციოლოგები დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე, როგორც ადამიანების ცხოვრების წესის გაერთიანებაზე მიუთითებენ. პოლიტოლოგები საუბრობენ სახელმწიფოების დიპლომატიურ ურთიერთდამოკიდებულებაზე და მისი როლის გაზრდაზე. იურიდიული მეცნიერების - იურისპრუდენციის წარმომადგენლებმა დაამკვიდრეს და სავალდებულო გახადეს დიპლომატიური სამართალი, როგორც საზოგადოებისთვის სავალდებულო ნორმა და სახელმწიფო დონეზე უზრუნყველყოფა.

პირველად ტერმინი „დიპლომატია“ 1791 წლიდან გამოიყენება. ლ. რობერტი დიპლომატიას „საზღვარგარეთ მთავრობის ინტერესების წარმოდგენის ხელოვნებასთან, საერთაშორისო ურთიერთობების ადმინისტრირებასთან და სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების განხორციელებასთან აიგივებდა“ (Robert, 1980:232).

სიტყვა „დიპლომატია“ წარმოიშვა ბერძნული სიტყვა „Diploma“. ასე უწოდებდნენ ძველ საბერძნეთში ორ შეტყუპებულ ფიცარს, დაფებს ტექსტით. დიპლომატია პირველად მოხსენიებული იყო საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის სახელგანთქმული ელჩის ფრანსუა კალიერის მიერ 1716 წელს გამოქვეყნებულ წიგნში სახელწოდებით „სახელმწიფოებთან მოლაპარაკებათა წარმოების მეთოდები“ (ჭიპაშვილი, 2007:34).

დიპლომატიამ განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო პროცესი გაიარა იგი სხვადასხვა ფორმებს ღებულობდა. ხშირად მას ინდივიდუალურად წარმართვადნენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი ელჩების დახმარებით აღწევდნენ წარმატებას, ამ მხრივ, გამონაკლისი არც ანტიკური რომის მეფეთა ხანის მმართველების რომულუსის და ნუმას

დიპლომატია იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ანტიკური რომის მეფეთა ხანა დაიწყო რომულუსის ინფილტრატით, რომელზეც მისი მმართველობა და დიპლომატია მიუთითებდა. აღსანიშნავია, რომ მეფეები ერთმანეთისგან როგორც მმართველობით ასევე დიპლომატიური ჩვეულებებით განსხვავდებოდნენ“ (Auliard, 2006:17).

პორტე აღნიშნავდა: „იგი როგორც პოლიტიკის დამფუძნებელი ასევე ბუნებით მებრძოლი მეფეა რომელიც ქვირინუსის ასპექტებში გვხვდება და აძლიერებს იმ აზრს, რომ ქვირინუსი არის არა მშვიდობის არამედ მეომართა ღმერთი და ასევე რომაული საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების შემქმნელი და მფარველი“ (Porte, 1981:300).

მიუხედავად იმისა, რომ რომულუსმა მტკიცედ ჩამოაყალიბა დიპლომატიური ფორმები მისი შესრულების სავალდებულოობა არ შემოიფარგლებოდა მომდევნო მეფის მიერ შესრულების აუცილებლობაში ჰუმბერტი აღნიშნავდა: „დამფუძნებლის გარდაცვალებიდან, მისი მემკვიდრეები დიპლომატიური ურთიერთობებისადმი ერთგულებას არ იცავდნენ“ (Humbert, 1978:180). მარტინის თანახმად: „რომის ყველა მეფე თავის მხრივ იპყრობდა ან იბრუნებდა ქალაქს“ (Martin, 1996:148).

ჰუმბერტი ყურადღებას ამახვილებს და შენიშნავს, რომ „რომულუსის მეფობის დროს მრავალმხრივი, მარტივი დიპლომატიური ურთიერთობების განსაკუთრებულობა ქალაქის საგარეო ურთიერთობებში, პირვანდელ დიპლომატიურ პრაქტიკას ასახავდა“(Humbert, 1978 :180).

ჩვენ ვიცით, რომ დიპლომატიის დაუწერელი კანონია უცხო ხალხთან კავშირი ოლიარდი წარმოაჩენდა, „საგარეო ურთიერთობების სფეროში მისი პირველი ინიციატივა იყო დიპლომატია, რომელიც მეზობელ ხალხთან მოლაპარაკებებსა და მოკავშირეობის მხარდაჭერაში გამოიხატა. რომულუსმა საგარეო ურთიერთობების პირველი ფორმები დააფუძნა“ (Auliard, 2006:58). „აგრეთვე, დიპლომატიურ ურთიერთობებში ახლო და შორეულ მეზობლებთან მართვის და დიპლომატიური ფუნქციონირების წესებიც დაადგინა“ (Alföldi, 1965:249). „რომულუსისათვის საომარი და დიპლომატიური საქმიანობა მჭიდრო კავშირშია“ (Martin, 1996:142-143).

მარტინი აღნიშნავდა: „რომულუსის მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის არასოდესაა პირდაპირ კავშირში წარმოშობილ კონფლიქტებთან, როგორიცაა სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა, ომები და დაპყრობები კაენინას, ანტემნესის, კროსტუმერიუმის, მედულიას, კამერიას ან ფიდენელების ხარჯზე“ (Martin, 1996:151).

ოლიარდი განიხილავდა კონფლიქტის დროს დიპლომატიის როლს და შენიშნა, რომ „დიპლომატიური კავშირები არსებობდა კონფლიქტებამდე, კონფლიქტის დროს ან მის შემდეგაც. ერთადერთი გამონაკლისი ეხება ვეისთან კონფლიქტს, რომელიც ასევე წარმოადგენს რომულუსის მეფობის ბოლო სამხედრო მოქმედებას მას წინ უძღვის და მოჰყვება დამფუძნებლის ბოლო ორი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების დროს თუმცა, რომულუსი იშვიათად იღებდა ინიციატივას ამ პროცესში, ვინაიდან მან მიიღო ხუთი უცხოური დელეგაცია, მაგრამ მან მხოლოდ ორი მისია გაგზავნა“ (Auliard, 2006:60-62).

რომულუსის დიპლომატია გამოირჩეოდა არა მხოლოდ მოლაპარაკებებით არამედ ელჩების გაცვლის დიპლომატიური პრაქტიკით „რომის პირველი მეფის დიპლომატიურ გაცვლას კიდევ ერთი საერთო აქვს: რომულუსის ომების წარმოშობის უმიზეზობას ხელს არცერთი არ უწყობდა. ქალაქის ისტორიის დასაწყისიდანვე ტრადიცია, როგორც ჩანს, ორიენტირებული იყო მეზობელი ქალაქებისა და ხალხების მოქმედებაზე, როგორც რომის ერთადერთ აგრესორზე. ამრიგად, ქალაქი ვალდებული იყო თავი დაეცვა, რადგან ის იყო გარე მტრების მსხვერპლი“ (Auliard, 2006:67).

რომულუსი დიპლომატიას განსაკუთრებით მართვის ორგანიზების და რთული ამოცანის დროს იყენებდა. მან განამტკიცა ტომებს შორის დიპლომატური ურთიერთობები ხოლო სამეფოზე დამოკიდებული უცხო ტომები მისი მფარველობის ქვეშ მოაქცია.

სინამდვილეა ის ფაქტიც, რომ რომი დიპლომატიის გაძლიერებასთან ერთად ცდილობდა ერთადერთი ჰეგემონი ყოფილიყო, ამიტომ ხშირ შემთხვევებში რომულუსს უფლება არ ჰქონდა „მოეთხოვა საგარეო მხარდაჭერა, რომლის პროცედურები უშუალოდ არ ეხებოდა, არც საგარეო პოლიტიკას და არც სამხედრო სფეროს. ნუმას დიპლომატიის მხარდაჭერა რელიგიურ მოქმედებებში გამოვლინდა, რომლის ყველა განსაკუთრებული ნაბიჯი ანტიკურ სამყაროში უნიკალურიც კი იყო. ამ ძალიან სიმბოლურად დატვირთულ ეპიზოდში რომულუსი გზავნიდა მისიას მეზობელ ხალხებზე. მისიის დამატებითი ფუნქცია იყო ამ ხალხებთან კავშირის გაფორმება, მაგრამ ლეგატებზე პასუხი რომულუსმა შეურაცხყოფად ჩათვალა, რომელმაც მაშინვე მიმართა ძალადობას და საბინელი ქალები გაიტაცა“ (Auliard, 2006:86).

ცხადია ის ფაქტი, რომ „პირველი დიპლომატიური ნაბიჯი და მისი გაფართოება, შეიძლება ასახული ყოფილიყო ძალის გამოყენების ნების გამოვლენაში. მართლაც, მისი დიპლომატიური ინიციატივის წარუმატებლობის შემდეგ, რომულუსი აღარ ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა ახალგაზრდა რომაელთა ძალადობას, რომელიც საბინელი ქალების გატაცებით მოხდა. ამგვარად აგრესიული მოქმედება დიპლომატიური წარუმატებლობის შედეგი აღმოჩნდა, რადგან საბინებზე თავდასხმას წინ არ უძღოდა შერიგების მცდელობა. ტრადიციამ აჩვენა, რომ რომის დიპლომატიური ისტორია ასეთი მოქმედე ბით დაწყებულიყო, რომელიც დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციად გადაიქცა“ (Auliard, 2006:87).

რომულუსის გარდაცვალებამ რომში დაძაბულობა და ქაოსი შექმნა, ძალაუფლების მოპოვებისთვის საბინებმა და რომაელებმა ბრძოლა დაიწყეს. პირველს სურდათ რომის მეფე ერთ-ერთი ან რომელიმე მათგანი ყოფილიყო, თუმცა აღსანიშნავია, რომ რომაელებს არ სურდათ არარომაელი გამხდარიყო მათი მმართველი. რომაელების ასეთ ფიქრს ემატებოდა მტრული სახელმწიფოს ყოველდღიური გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით ლივიუსი მოგვითხრობს: „საბინი და რომაელი სენატორები ვერ შეთანხმდნენ მეფის არჩევაში ერთმანეთის კანდიდატებს არ სცნობდნენ. საბოლოოდ ასი სენატორი ათ-ათ კაციან ჯგუფებად დაყვეს და ათი კაცი მართავდა. ხუთი დღის შემდეგ მათი უფლებამოსილება იწურებოდა და ძალაუფლება გადადიოდა მომდევნო ათზე. მეფეს ერთი წლის განმავლობაში ასე ირჩევდნენ და მას ინტერრეგნუმს უწოდებდნენ. უბრალო ხალხი შეწუხდა მონობის გამრავლებასთან ერთად ერთი ბატონი ასმა ბატონმა შეცვალა. ჩანდა, რომ ხალხს მეფის გარდა არავინ სურდა. სენატორებმა ხალხის კეთილგანწყობა მოიპოვეს და ვისაც აირჩევდა ხალხი მეფედ სენატორები ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებდნენ. კენჭისყრის დაწყებამდე, ჯერ კიდევ გაურკვეველი შედეგით, სენატორებმა წინასწარ თანხმობა გამოაცხადეს და ინტერრექსმა გამოაცხადა: „დაე ეს იყოს სიკეთისთვის, სარგებელისთვის და ბედნიერებისთვის! ქვირიტებმა აირჩიოს მეფე: ასე მამები მსჯელობდნენ. შემდეგ კი თუ რომულუსი ღირსეულ მემკვიდრედ დაგინიშნავთ, მამები თანხმობას გასცემენ„ სენატორებმა უნდა გადაწყვიტოს ვინ უნდა იყოს მეფე რომში (Ab urbe condita, 1989:25).

საბოლოოდ, ორივე მხარე ერთმანეთში შეთანხმდა რომ ერთმა ხალხმა უნდა აირჩიოს მეფე მეორისგან. მათ ეგონათ, რომ მხოლოდ ასე დასრულდებოდა ჩხუბი და არჩეული მეფე თანაბრად ორივეს დაუჭერდა მხარს (Πλούταρχος, 2011:78). როდესაც საბინებმა ნუმა დაასახელეს (Ab urbe condita,1989:25) პირველად არჩევანის უფლება რომაელებს დაუთმეს, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ერჩივნათ რომაელებს მათი დასახელებული აერჩიათ, ვიდრე საბინელები მეფედ რომაელს აირჩევდნენ. რომაელებმა ფიქრის შემდეგ არჩევანი ნუმა პომპილიუსზე შეაჩერეს (Πλούταρχος, 2011:78). რომაელმა სენატორებმა ვერ გაბედეს

მათი მხრიდან ვინმე დაესახელებინათ. ამიტომ ერთხმად გადაწყვიტეს ნუმა პომპილიუსისთვის მიეცათ სამეფო მმართველობა, ამიტომ რომში მიიწვიეს (Ab urbe condita,1989:25). როდესაც რომიდან ელჩები მივიდნენ მაშინ ნუმა იყო ორმოცი წლის“ (Πλούταρχος, 2011:80).

ემილიო გაბბას აზრით, „ნუმა პომპილიუსის ფიგურა და პიროვნება, რომაული ტრადიცია და ბერძნული მაგნა სხვადასხვა, თანმიმდევრულ პერიოდებში ერთმანეთს ერწყმის. პირველი ძირითადად მეფის საბინიურ წარმოშობაზეა ორიენტირებული. ხოლო, მეორე მათ ოჯახურ ტრადიციებს მოიცავს. მეფე ნუმა, იყო მშვიდობის, სედანტარიზმის, საზღვრების სტაბილურობის და პოლიტიკის იდეალური წარმომადგენელი“ (Gabba, 1999:10-11).

დიონისე ჰალიკარნასელის თანახმად: „ნუმა იყო პირველი მეფე, რომელმაც ჩამოაყალიბა წმინდა ფეციალის კოლეგია“ (Αλικαρνασσός, 2005:271) რომლის წევრი დებდა ფიცს „ისმინე, იუპიტერო ისმინეთ ამ ქვეყნის საზღვრებო, შეიძლება უზენაესმა კანონმა მომისმინოს. მე ვარ მთელი რომაელი ხალხის მაცნე, უფლებათა და პატივისცემით მოვდივარ როგორც ელჩი, და იყოს ჩემი სიტყვა რწმენა! „შემდეგ იუპიტერს იმოწმებს: „თუ მე არასწორად და უსამართლოდ მოვითხოვ, რომ ეს ხალხი და ეს ნივთები მომეცეს ჩემთვის, შეგიძლია სამუდამოდ წამართვა ჩემი სამშობლო“. ამის შემდეგ, ოცდათორმეტი დღის შემდეგ იგი აცხადებს ომს შემდეგნაირად: „ისმინე, იუპიტერო და შენ იანუს კვირინუს და ყველა სხვა ცათა ღმერთებო და შენ მიწიერო და ქვესკნელო მისმინე! მე მოგიყვანთ მოწმედ იმისა, რომ ამ ხალხმა უფლება დაარღვია“ (Ab urbe condita, 1989:39).

ფეციალის წევრების საქმიანობა რელიგიური დანიშნულების მოქმედებებით შემოიფარგლებოდა, ლივიუსის თანახმად: „წმინდა ფეციალის პონტიფიკები ერთგულების საკურთხეველში წყვილად მიდიოდნენ და მსხვერპლის შესასრულებლად თითებს ხელზე იმის ნიშნად ახვევდნენ, რომ დაცული უნდა ყოფილიყო ერთგულება. სალოცავად ხელების ქნევის დროსაც კი ის წმინდად რჩებოდა. დააწესა მრავალი სხვა მსხვერპლშეწირვის რიტუალი და ღმერთებს მიუძღვნა მსხვერპლშეწირვის ადგილები რომელსაც პონტიფიკოსები „არგეის“ უწოდებდნენ“ (Ab urbe condita,1989:28).

ჰინარდი აღნიშნავდა: „რომის მეორე მეფის დიპლომატიური საქმიანობა რომულუსის საწინააღმდეგოდ მთლიანად ემყარება მის დომინანტურ მშვიდობიან და ღვთისმოსავ მონარქის იდეას“ (Hinard,2000:37). ხოლო, ოლიარდი ხაზგასმით მიუთითებდა „ერთადერთი დიპლომატიური აქტი არის ის რომ ძალაუფლების მიღების შემდეგ მან პირადად მიიღო გადაწყვეტილება ყველა მეზობელთან მშვიდობიანი ხელშეკრულების დადების შემდეგ დაეხურა იანუსის ტაძარი და ხალხი გაეთავისუფლებინა იარაღისაგან“ (Auliard, 2006:69-71).

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნუმა ერთადერთი მეფე იყო რომლის ტრადიცია არ იძლევა ელჩების მიღებას. ლათიუმში ძალაუფლების ბალანსს დადებული ხელშეკრულებები ასტაბილურებდა. დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა არ ნიშნავდა, ლატენტური კონფლიქტების გაქრობას, მაგრამ ეს უმოქმედობა შეიძლება ყოფილიყო რელიგიური სტრუქტურების დამკვიდრება“ (Auliard, 2006:71-73).

რელიგიური დიპლომატით „ნუმა ღვთისმოსაობით პატივს სცემდა ყველას, როგორც შიგნით ასევე გარეთ, ის ძალის გამოყენებაზე უარს ამბობდა. ტრადიციით, ორი ანტაგონისტური ომისა და მშვიდობის ფუნქციის კომპლემენტარობა მტკიცედ არის დადასტურებული“ (Briquel-Chatonnet, 2000:220).

ოლიარდი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „რომაული ძალაუფლების გაძლიერებას ომმაც და მშვიდობამაც შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ნუმას საომარი და დიპლომატიური საქმიანობა ძალიან შეზღუდული იყო მისი რელიგიური სიახლეები საგარეო ურთიერთობებსაც ეხებოდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი ინოვაცია ხელოვნურად იყო დაფარული. რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, მისი ინოვაციების

პრიორიტეტული მიზანია: გარანტირებული საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემა რელიგიური რიტუალის განვითარება წმინდა საკურთხევლის დამკვიდრებით“ (Auliard, 2006:74-76).

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან შეიძლება ვთქვათ, რომ რომულუსისა და ნუმას დიპლომატიის შესახებ შემოთავაზებული ინფორმაცია არაა სრულყოფილი. როგორც ჩანს, მიზანშეწონილია აღვნიშნო, რომ მეფეთა ხანის დიპლომატიურ საქმიანობაში ჯერ კიდევ უამრავი საინტერესო ცნობები და ინფორმაცია საბოლოოდ არ არის შესწავლილი. რადგან რომულუსის და ნუმას მმართველობის დროს დიპლომატიური საქმიანობის შესახებ მცირე ინფორმაციაა ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ არსებობს.

მიმდინარე ეტაპისთვის ჩვენ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომულუსის და ნუმას დიპლომატიურ მიზნებზე და ინტერესებზე.

ჩვენს მიერ ზემოთდასახელებული გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესია გავიაზროთ თუ რა მოჰყვება დიპლომატიური ფიცის შეუსრულებლობას ორ ან მრავალ ტომებთან თუ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, რომელიც საბოლოოდ დიპლომატიური კრიზისამდე ან გაუფრთხილებლობით ომის დაწყებამდე მიგვიყვანს.

რომის საგარეო ურთიერთობების ფორმებს, რომელსაც რომულუსმა ჩაუყარა საფუძველი დღემდე არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ გარემოებიდან გამომდინარე იძულებული იყო მხოლოდ სამხედრო მოქმედებებით შემოსაზღვრულიყო.

სინამდვილე იყო ის გარემოებაც, რომლის წინაშეც ნუმას როლი იმ შეთანხმებებისა და ვალდებულებების პატივისცემაში იყო გადამწყვეტი, რომელსაც რომი და რომაელები იღებდნენ. სწორედ ამ დროიდან ნუმამ დააფუძნა და ღმერთების მიერ დაცული დიპლომატიის შემქმნელი გახდა.

ამრიგად, აშკარაა, რომ ანტიკური რომის ამ ორმა მეფემ მათი გადაწყვეტილებებით და პასუხისმგებლობით დიპლომატიის მშენებლობაში გარდატეხა მოახდინეს, რომელიც მომდევნო საუკუნეებში შეინარჩუნა თავის სტილი და მეთოდები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ჭიპაშვილი, ჰ., (2007). დიპლომატია. თბილისი: „ინოვაცია პლიუსი“.
Αλικαρνασσός, Δ ., (2005). Antiquitatum Romanarum. изд. «Рубежи XXI».
Πλούταρχος, (2011). Βίοι Παράλληλοι. изд. « Эксмо».
Alföldi, A., (1965). Early Rome and the Latins . Publ. «Ann Arbor. University of Michigan Press».
Auliard, Cl., (2006). La diplomatie romaine, l'autre instrument de la conquete. Édit. «press universitaires de Rennes».
Briquel-Chatonnet, F., (2000). Le temps de la Bible. Édit. «persee EFR».
Gabba, E., (1999). En Storchi Marino, A., Numa e Pitagora, sapientia constituendae civitatis. Édit. «Napoli».
Hinard, F., (2000). Histoire romaine. Édit. «Les éditions Fayard».
Humbert, M., (1978). Municipium et civitas sine suffragio. L'organisation de la conquête jusqu'à la guerre sociale. Édit: «École Française de Rome»
Martin, P-M., (1996). L'idée de royauté à Rome. II : Haine de la royauté et séductions monarchiques. Édit. «persee»
Porte, D., (1981). Romulus-Quirinus, prince et dieu, dieu des princes. Publ. «Brill».
Robert, L., (1980). Dictionnaire de la langue française. Édit. «Le Robert».
Livius, T., (1989). Ab urbe condita. изд. «Наука».

REFERENCES

ch'ip'ashvili, h., (2007). *dip'lomat'ia.* tbilisi: inovatsia p'liusi. [*Diplomacy.* Tbilisi: "Innovation Plus"].
Alikarnassóc, D ., (2005). *Antijauitatum Romanarum.* izd. Rubezhi
Ploútarchoc, (2011). *Bíoi Paállhloi.* . izd. Jeksmo.
Alföldi, A., (1965). Early Rome and the Latins . Publ. «Ann Arbor. University of Michigan Press».
Auliard, Cl., (2006). La diplomatie romaine, l'autre instrument de la conquete. Édit. «press universitaires de Rennes».
Briquel-Chatonnet, F., (2000). Le temps de la Bible. Édit. «persee EFR».
Gabba, E., (1999). En Storchi Marino, A., Numa e Pitagora, sapientia constituendae civitatis. Édit. «Napoli».
Hinard, F., (2000). Histoire romaine. Édit. «Les éditions Fayard».
Humbert, M., (1978). Municipium et civitas sine suffragio. L'organisation de la conquête jusqu'à la guerre sociale. Édit: «École Française de Rome»
Martin, P-M., (1996). L'idée de royauté à Rome. II : Haine de la royauté et séductions monarchiques. Édit. «persee»
Porte, D., (1981). Romulus-Quirinus, prince et dieu, dieu des princes. Publ. «Brill».
Robert, L., (1980). Dictionnaire de la langue française. Édit. «Le Robert».
Livius, T., (1989). *Ab thrbe condita.* izd. «Nauka».